პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1951 წ. № 131 (8985). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მივაწოდოთ მშენებლებს მეტი საშენი მასალა (1-ლი გვერდი).
სამგორის სახალხო მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).
ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობა (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
საქართველოს კოლმეურნეები იწვევენ მოძმე სომხეთის კოლმეურნეთა თაოსნობას (მე-3 გვერდი).
როცა არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).
„უმზითვო“ — გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლი (მე-3 გვერდი).
ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი (მე-4 გვერდი).
ირანის პრესა ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის შესახებ (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
კიმ ირ სენმა მიიღო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიის წევრები (მე-4 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უძლეველი დროშის ირგვლივ მჭიდროდ დარაზმულნი, ძალებსა და შრომას არ იშურებენ იმისათვის, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე წელს სოციალისტური სახალხო მეურნეობის წინაშე პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს. მათმა დიდმა უმრავლესობამ ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ხუთი თვის საწარმოო გეგმა, გამოუშვა დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია, მტკიცე საფუძველი შექმნა ნახევარი წლის გეგმების ვადამდე განაღდებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მძიმე მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგების მაღალნაყოფიერი მუშაობა, როგორიც არიან ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა.

საქართველოს მეშახტეებმა მაღალნაყოფიერად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს პირველ კვარტალში და საპატიო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული მეშახტეები გაორკეცებული ენერგიით განაგრძობენ ბრძოლას სამეურნეო წლის მეორე კვარტალში უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, მინისტრთა საბჭოს დროშის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს მეშახტეებმა, რომლებიც მიმდინარე წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის „დონბასანტრაციტის“ მეშახტეებს ეჯიბრებიან, ამ დღეებში წერილი გაუგზავნეს ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს. ამ წერილით რესპუბლიკის მეშახტეები კისრულობენ ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებას, წლის ბოლომდე 50 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირის ამოღებას.

რესპუბლიკის მეშახტეები წლითიწლობით აუმჯობესებენ მუშაობას, უფრო სრულყოფილად იყენებენ მძლავრ საბჭოთა ტექნიკას, რომლითაც ჩვენი შახტებია აღჭურვილი. თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა ახლა ოცჯერ მეტ ქვანახშირს იღებს ომამდელ პირველ სტალინურ ხუთწლედთან შედარებით, აშკარად მეტყველებს მეშახტეთა უდიდეს წარმატებას. მიუხედავად ამისა, მიღწეულით დაკმაყოფილება სწორი არ იქნებოდა. ჩვენი მარად მზარდი მრეწველობა და ტრანსპორტი ყოველდღიურად მეტ ქვანახშირს მოითხოვენ, და ეს მოთხოვნილება სრულად უნდა დააკმაყოფილონ რესპუბლიკის მეშახტეებმა. საქართველოს მეშახტეთა გადაუდებელი ამოცანაა მიაღწიონ მძლავრი საშახტო ტექნიკის უფრო სრულად გამოყენებას, ჩვენი სამშობლოს მოწინავე შახტების მუშაობის მეთოდების უკეთ დაუფლებას, ყველა შახტის, უბნის, ცვლისა და თვითეული მეშახტის მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის სასახელოდ განაღდებას.

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში. ნიკოპოლელ მაღაროელებთან ტრადიციულ შეჯიბრებაში ჩაბმული ჭიათურელი მაღაროელები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი მიაწოდონ ჩვენი სამშობლოს მეტალურგიულ მრეწველობას. ჭიათურელმა მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის გეგმა, თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, შეამცირეს თვითღირებულება, გაადიდეს მარგანეცის გამოსავლიანობა და გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ტონა მარგანეცი ამოიღეს. ოთხი თვის მუშაობის შედეგების შეჯამებისას ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ ნიკოპოლელ მაღაროელებთან შეჯიბრებაში.

ეს წარმატებანი მაღაროელებმა მოიპოვეს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებითა და მაღაროებში არსებული მექანიზმების უკეთ გამოყენებით. ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მაღაროელთა და მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მაღაროებისა და შახტების ახალი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვისათვის. ამის შედეგად ახლა ჩვენი ქვეყნის შახტებსა და მაღაროებში შრომის პროცესები ძირითადად მექანიზებულია, კერძოდ ჭიათურის მაღაროებში შრომის მთელ რიგ პროცესებს მექანიზმები ასრულებენ. ტრესტის ხელმძღვანელობამ წელს ამ მექანიზმების უფრო სრულად გამოყენებისა და შრომატევადი სამუშაოების შემდგომი მექანიზაციისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა, რამაც დიდად შეუწყო ხელი წარმატების მოპოვებას. მაღაროელთა წარმატება უზრუნველყო აგრეთვე ფართოდ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, სტახანოველთა და წარმოების ნოვატორთა რიგების ზრდამ.

მაღაროელთა საპატიო მოვალეობაა შემდგომ განამტკიცონ მოპოვებული მიღწევები, მეტი ენერგიით იბრძოლონ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, არ დათმონ პირველობა.

მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავეთა რიგებში დგანან რესპუბლიკის დაზგათმშენებლები და მანქანათმშენებლები, მეტალურგები, მეცემენტეები, თბილისელი და ქუთაისელი ფეიქრები, რესპუბლიკის ასობით სხვა საწარმოს კოლექტივი. საწარმოო გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, წელს მრავალ საწარმოში აითვისეს ახალი ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება, გაადიდეს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. თვითღირებულების შემცირებით, ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ეკონომიით მიღებულია მილიონობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, საწარმოთა საფინანსო-ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ახლა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ამ მხრივ დამახასიათებელია მრეწველობის მთელი რიგი დარგების კოლექტივების მიერ დიდი სტალინისათვის ამ დღეებში გაგზავნილი წერილები. ჩვენი სამშობლოს მეშახტეები, მეტალურგები, ნავთობის მომპოვებლები, ფეიქრები, მრავალი სხვა პროფესიის ადამიანები პირობას აძლევენ ხალხთა ბელადს, რომ სასახელოდ განახორციელებენ მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებს, შემდგომ განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, მის თავდაცვისუნარიანობას.

მოწინავეთა ამ პატრიოტული თაოსნობისათვის მხარდაჭერა, მრეწველობის მუშაკთა წინაშე წელს დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღება, მრეწველობის ყველა დარგის მუშაკთა ამ შეჯიბრებაში ფართო მონაწილეობა საწარმოთა პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების საპატიო მოვალეობაა.

ომისშემდგომი ხუთწლედის წარმატებით განხორციელებით საბჭოთა ხალხმა მტკიცე საფუძველი შექმნა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — ძლიერება.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

მივაწოდოთ მშენებლებს მეტი საშენი მასალა

ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებენ ხარისხს

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას კირის ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბურთალოელ მეაგურეთა მიმართვას მეტი საშენი მასალების გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ქარხნის კოლექტივმა გამოიანგარიშა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.500 ტონა კირი და 5 ათასი კუბმეტრი საშენი ქვა, გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 1 პროცენტით, დაზოგოს საწვავი და სახელმწიფოს მისცეს 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება; წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით მიაღწიოს 80 პროცენტი პირველი ხარისხისა და 20 პროცენტი მეორე ხარისხის კირის გამოშვებას, უზრუნველყოს კაპიტალური მშენებლობის გეგმის ვადამდე შესრულება, წლის ბოლომდე ააგოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 12-ბინიანი მუშათა საერთო საცხოვრებელი და აბანოს შენობა.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან სტახანოველები ა. გელაშვილი, ო. ხუხუა, შ. ჭითავა, შ. ვაკულოვი, ნ. რეკვავა და სხვები.

შეჯიბრებაში ჩაება შიფერის ქარხნის კოლექტივი

კასპი. (საკ. კორ.). შიფერის ქარხნის კოლექტივმა ნაყოფიერად იმუშავა მაისში და გეგმა 110 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის კოლექტივმა საბურთალოს მეაგურეთა მოწოდების პასუხად იკისრა წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი მილიონი ცალი მაღალხარისხოვანი შიფერი, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 5 პროცენტით.

ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება. თვითეული მუშა, ბრიგადა და საამქრო იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

331 ათასი ცალი აგური გეგმის გადამეტებით

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივს საბურთალოელ მეაგურეთა მიმართვის პასუხად ნაკისრი აქვს ვალდებულება წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 550 ათასი ცალი აგური.

უკვე მოპოვებულია პირველი წარმატება, ქარხნის კოლექტივმა მაისში გეგმის გადამეტებით დაამზადა 206 ათასი ცალი ნედლი აგური და გამოუშვა 124.000 ცალი წითელი აგური; შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით გაადიდა დანადგარების წარმადობა და 2 პროცენტით შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯი.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საყალიბე და საშრობ-საგამოწვო საამქროები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინრები ინასარიძე, პაქსაშვილი და მანუკიანი ხელმძღვანელობენ. აღსანიშნავია სტახანოველების გ. სხირტლაძის, კ. ბითაძის, ი. კუპრაძის, ვ. გოგოლაძის, ვ. ხაჩიძისა და სხვათა ენერგიული მუშაობა.

სამგორის სახალხო მშენებლობა. მოწინავე სამგორელი მესკრეპერე იასონ თურქიაშვილი თავის სკრეპერზე (მიწის სათხრელ-საზიდავ მანქანაზე) ყოველდღიურად 200-220 კაცის სამუშაოს ასრულებს, იღებს და ახალ ადგილზე გადააქვს 600-650 კუბმეტრი მიწა.

ფოტო ვ. გინზბურგისა

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

მოდიან ახალი ადამიანები

როგორც კი გაუგიათ ჩვენს კოლმეურნეებს, სამგორში მუშახელი სჭირდებათო, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან მოვიდა ცნობები აქ სამუშაოდ წამოსვლისათვის მზადყოფნის შესახებ. მარტო მაისში სამგორში სამუშაოდ ჩამოსვლის შესახებ ხელშეკრულებას 389 კოლმეურნემ მოაწერა ხელი. მათ შორის არიან საგარეჯოელი, თეთრიწყაროელი, მცხეთელი, გარეუბნელი, ქარელელი, ბორჯომელი, მარნეულელი და გარდაბნელი კოლმეურნეები. ივნისსა და ივლისში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან სამგორში კვლავ მრავალ კოლმეურნე მშენებელს მოელიან.

— გაზეთებში წავიკითხე, — წერს სოფელ აჩაბეთის (სტალინირის რაიონი) ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან გიორგი ლენტოს-ძე ბაბუციძე, — რომ სამგორში მომუშავეები ხელობას სწავლობენ. მეც მინდა ვიმუშაო სამგორში, მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ მშენებლობაში და გავხდე მოწინავე ადამიანი — მექანიზატორი. მინდა ვისწავლო ექსკავატორზე მუშაობა...

მიმდინარე წლის სამშენებლო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი დადგა. ივნისი, ივლისი და აგვისტო ის თვეებია, როცა სამგორში დიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს. ამიტომ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამგორში სამუშაოდ წამოსვლის მსურველთა შერჩევას, მათთვის რაიონული ორგანიზაციების მხრივ დახმარების გაწევას იმისათვის, რომ ეს ახალი ადამიანები მშენებლობაზე მალე ჩამოვიდნენ.

სამგორწყალმშენის სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან აქ 1.000-ზე მეტი ახალი ადამიანი აპირებს ჩამოსვლას. მრავლად არიან ისეთებიც, რომლებსაც სამგორში მუშაობის ვადა გაუვიდათ, მაგრამ სურვილს აცხადებენ კვლავ დარჩნენ მშენებლობაზე ხანგრძლივი დროით.

სამგორში ახალი მუშახელის გამოსაგზავნად კარგად იმუშავეს და წამოსვლის მსურველებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს თეთრიწყაროს რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა (საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრიწყაროს რაიკომის მდივანი ვ. გონგაძე, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ჩომახაშვილი). სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაწევის შედეგად კოლმეურნეობებმა 40 საუკეთესო ვაჟკაცს დართეს სამგორში სამუშაოდ წამოსვლის ნება.

მაგრამ ზოგ რაიონში, როგორც, მაგალითად, წალკის რაიონში, კოლმეურნეებს სამგორში წამოსასვლელად სათანადოდ არ უწყობენ ხელს და ამის შედეგად ამ რაიონიდან 80 კაცის ნაცვლად სამგორში სამუშაოდ მხოლოდ 62 კაცია ჩამოსული. საგარეჯოს რაიონიდან სამგორში წამოსვლის სურვილი განაცხადა 40 კაცმა. აქედან 7 კაცის წამოსვლა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მიზეზით დაყოვნებულია.

ყველა მსურველის გამოგზავნა სამგორში სამუშაოდ არც მიზანშეწონილია და არც საჭირო. რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოეპოვებათ იმის ცნობები, თუ მათი რაიონიდან სამგორის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად რამდენი კაცი უნდა გამოიგზავნოს. მთავარი ისაა, რომ ადგილებზე ყველა მსურველთაგან მხოლოდ საუკეთესოები შეარჩიონ და გამოგზავნონ მოკლე ხანში. საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ახალჩამოსულებმა უნდა აითვისონ მშენებელთა სხვადასხვა პროფესიები. ამას გარკვეული დრო დასჭირდება, და თუ ადგილებზე შედარებით უფრო გამოცდილ ადამიანებს შეარჩევენ, ეს გააადვილებს ახალჩამოსულთა მომზადებას.

დ. ამირანიძე

პირუტყვის კაპიტალური ბინები

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა პირუტყვის სადგომი კაპიტალური ბინების მშენებლობა. უკვე აგებულია კაპიტალური ბინები 3.016 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, 38.220 სული ღორისათვის.

პირუტყვის სადგომი კაპიტალური ბინების მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფელ აცანის სტალინის, ჩოლაბარგის კეცხოველის, ლაშისღელის ფრუნზეს, ლესის მახარაძის, ნიგვზიანის კალინინის და მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში. ნავარაუდევია წელს კოლმეურნეობებში ააგონ 18 სადგომი 1.480 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, 13 სადგომი 655 სული ღორისა და 18 ბინა 9.400 ფრთა ფრინველისათვის.

ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ქუთაისი. 5 ივნისი (საქინფორმი). სამ დღეს გასტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამსვლელმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის მოძღვრებას ენის შესახებ.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ა. შანიძემ.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა: გ. თოფურიასი — „ენათმეცნიერების დარგები და მათი ურთიერთმიმართების საკითხი ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების თვალსაზრისით“, გ. ახვლედიანისა — „ძირითადი სიტყვიერი ფონდისა და ძირეული სიტყვების ურთიერთმიმართება ენის შესახებ ი. ბ. სტალინის მოძღვრების თვალსაზრისით“, ა. შანიძისა — „რამდენიმე ილუსტრაცია ქართული ენის ისტორიიდან ი. ბ. სტალინის დებულებისათვის — გრამატიკული წყობის ნელი ცვლილების შესახებ“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ქ. ლომთათიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების ძირითად დებულებებს. დოცენტმა გ. მელიქიშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი ენის შესახებ ი. ბ. სტალინის შრომების თვალსაზრისით“. ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესს ენის შესახებ ი. ბ. სტალინის მოძღვრების თვალსაზრისით მიუძღვნა თავისი მოხსენება ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. შარაძენიძემ. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ასათიანმა მოხსენება გააკეთა თემაზე: „ი. ბ. სტალინის ადრინდელი ქართულ-დ დაწერილი ნაწარმოებების ენა და სტილი“. დოცენტმა ვ. ბერიძემ წაიკითხა მოხსენება „ი. ბ. სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების შესახებ და ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. ი. ბ. სტალინის მოძღვრების თვალსაზრისით ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის საკითხს მიუძღვნა თავისი მოხსენება ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ი. გიგინეიშვილმა.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ხალხთა ბრძენ ბელადს, მეცნიერების დიდ კორიფეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

სესიამ ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ცენტნერი მატყლი

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 ივნისისათვის შეასრულეს მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ასპინძის რაიკომის მდივანი ამხ. ჯიბლაძე და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ველიჯანაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ მატყლის დამზადების წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ცენტნერი მატყლი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მშენებლობა უნგრეთში

ბუდაპეშტი. (საქინფორმი). მიშკოლცის ახლოს, ბიუკის მთებთან, შენდება უნგრეთის ხუთწლედის ერთ-ერთი შესანიშნავი ობიექტი — მძიმე მრეწველობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სტუდენტთა ქალაქი. მიმდინარე წლის სექტემბერში დამთავრდება პირველი რიგის მშენებლობა — 284 მეტრი სიგრძის კორპუსი, რომელშიც იქნება სალექციო დარბაზები, ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები. ამ კორპუსში 750 სტუდენტი იმეცადინებს. მეორე რიგის დამთავრების შემდეგ, ხუთწლედის ბოლოს, ინსტიტუტში 2 ათასზე მეტი სტუდენტი იმეცადინებს.

აქვე შენდება სტუდენტთა ქალაქის კულტურული ცენტრი, სადაც იქნება საკლუბო დარბაზი, თეთრი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.

გაცილებით ხუთწლიანი გეგმით, რომელიც ამას წინათ მიიღო უნგრეთის სახალხო კრებამ, გათვალისწინებულია სამი პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სხვა სასწავლებლების მშენებლობა. უნგრეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვი 30 ათასი კაცით გადიდდება ნაცვლად რვა ათასისა, როგორც ხუთწლიანი გეგმის თავდაპირველი ვარიანტით იყო გათვალისწინებული.

პოლონეთის დასავლეთ მიწებზე

ვარშავა, 5 ივნისი. (საქინფორმი). პოლონეთის დასავლეთ მიწებზე ბალტიის ზღვიდან სუდეტის მთებამდე გაჩაღდა დიდი მუშაობა, რომელიც წარმოადგენს პოლონეთის ეკონომიური განვითარებისა და სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ექვსწლიანი გეგმის შემადგენელ ნაწილს.

ბოლესლავეცის რაიონში ამ გეგმის მიხედვით მანძილზე გაიხსნება ახალი შახტები და ხელახლა აღდგება ... საწარმოები, ... ფაბრიკა და 17 სხვა სამრეწველო საწარმო, რის შედეგადაც ამ რაიონის მუშათა რაოდენობა 300 ათასს მიაღწევს.

დიდი მშენებლობა ჩაღდება ... ზემოქმედი ... კოლოში — დიდი ქიმიური და სამრეწველო საწარმოები. ... ცემენტის ქარხნის მშენებლობა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს შჩეცინ-სვინოუსტიეს საზღვაო ... კომპლექსის რეკონსტრუქციისათვის, ბალტიკის სანაპიროზე შეიქმნება ნავსადგური ... საწარმოები ... კომბინატი, კოშალინის მიდამოებში ... საწარმოები.

დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას დასავლეთ მიწებზე. 1955 წლის დამლევს მარცვლეულის პროდუქცია 66 პროცენტით გადიდდება, ხოლო მეცხოველეობის პროდუქცია — 206 პროცენტით.

ვროცლავში, ... ოპოლეში, ... და სხვა ქალაქებში ფართოდ ჩაღდება საბინაო მშენებლობა, აგრეთვე სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა. ქალაქ ვროცლავში შენდება ახალი პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ქალაქ ოპოლეში — უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლა და სხვ.

თეატრი ალბანეთში

ტირანა, 4 ივნისი. (საქინფორმი). ალბანეთის სახალხო თეატრი დიდ როლს ასრულებს ხალხის პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საქმეში. არსებობის შვიდი წლის მანძილზე სახალხო თეატრმა დადგა რუსული კლასიკური რეპერტუარის ბევრი პიესა, საბჭოთა დრამატურგებისა და ალბანელი ავტორების პიესები. ამ ხნის განმავლობაში სახალხო თეატრმა დადგა 40 პიესა, გამართა 500 წარმოდგენა, რასაც დაესწრო 350 ათასზე მეტი მაყურებელი.

ალბანეთის სახალხო თეატრის გარდა, 1950 წლის თეატრები შეიქმნა შკოდერსა და კორჩაში, აგრეთვე დაარსდა თოჯინების თეატრი ტირანაში.

სახალხო ხელისუფლება დიდ ზრუნვას იჩენს ავრეთვე მხატვრული თვითმოქმედებისათვის. კლუბებთან, კულტურის სახლებთან და საწარმოებთან შექმნილია ... მხატვრული თვითმოქმედების 400-ზე მეტი კოლექტივი: დრამატული წრეები, ორკესტრები, ფოლკლორული კოლექტივები და სხვ.

მაღაროელთა პროფკავშირის ყრილობა ბულგარეთში

სოფია, 4 ივნისი. (საქინფორმი). ქალაქ დიმიტროვოში გაიხსნა ბულგარეთის მაღაროელთა პროფკავშირის მე-3 ყრილობა. ყრილობას ესწრება 300-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ ბულგარეთის ყველა შახტისა და მაღაროს მუშათა საერთო პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ პრაჰოვი.

ბულგარეთის მაღაროელთა პროფკავშირის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამ პროფკავშირის თავმჯდომარე ... ბულგარეთის მაღაროელთა არჩეკ მნიშვნელოვანი ხანაზე და მილიონობით ტონა ქვანახშირი და მაღნეულის ... საწარმოო მოპოვება ... გეგმა შარშან გადამეტებით შესრულდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით და მადნის 105,5 პროცენტით.

ყველა ეს წარმატება, ხაზგასმით აღნიშნა სპიკერმა, ჩვენ მივაღწიეთ სოციალისტური შეჯიბრების განვითარების, საბჭოთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის, საბჭოთა კავშირის უანგარო ტექნიკური დახმარების შედეგად.

ყრილობის მონაწილეებმა საბჭოთა მაღაროელების სახელით მისალმება საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წარმომადგენელმა ... მა.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობა

—საკოლმეურნეო ბრიგადებში სუსტია შრომის დისციპლინა. ხშირად დაგვიანებით და ცუდად სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დღემდე აღმოფხვრილი არ არის არტელის სტალინური წესდების დარღვევის შემთხვევები. — ამ ნაკლოვანებათა შესახებ პარტიულ კრებაზე დროდადრო მსჯელობენ სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები. ასე მოხდა, მაგალითად, 14 აპრილს. ამ დღეს პარტიულ კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის დროს დაშვებულ ნაკლოვანებებზე. კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი აღინიშნა უფრო ადრეც. მიმდინარე წლის 25 იანვარს შემდგარ პარტიულ კრებაზე. მაგრამ კრების ოქმებს რომ ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებელი არ იყოს კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობისათვის. კრების გადაწყვეტილებებში არ ჩანს საკითხისადმი პარტიული მიდგომა. პარტორგანიზაცია განზე უდგას თავის პირდაპირ მოვალეობას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ამონაწერს იმ გადაწყვეტილებიდან, რომელიც მიღებულ იქნა 25 იანვარს პარტიულ კრებაზე (კრებამ განიხილა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი): „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას განუმარტოს წევრებს საერთო კრებაზე წინასწარი გაფრთხილების სახით, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა სამუშაოებში...“ (!).

თვითონ პარტორგანიზაცია რა ზომებს იღებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობაში განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში?

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების უმრავლესობა კოლმეურნეობაში ბეჯითად და თავდადებით მუშაობს. მაგრამ ეს ხომ არ კმარა. პარტიული ორგანიზაცია მარტო საკუთარი ძალებით ვერ გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი მიხეილ დემუროვი მოწინავე კოლმეურნეა, მაგრამ მ. დემუროვის შრომისუნარიანი მეუღლე ელენე პატივს არ სცემს საერთო საქმეს და სრულიად არ გამოდის კოლმეურნეობაში სამუშაოდ. ასევე კომუნისტი ლადო ხრიკული ყოველთვის დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიცემულ დავალებებს, მაგრამ მისი მეუღლე ოლია პირად ინტერესებს კოლმეურნეობის ინტერესებზე მაღლა აყენებს და სამუშაოდ არ გამოდის. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობისათვის მეტად საჭირო და ძვირფასია თვითეული მუშახელი. კოლმეურნეობის მეორე ბრიგადას კომუნისტი მაქსიმე ჩიგოევი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრთა ნაწილი სამუშაოზე არ გამოდის. ბრიგადირს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა ენერგიული ზომები მიიღოს შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ თვით ბრიგადირის მეუღლე ნიჩკო ჩიგოევა გულგრილად არის განწყობილი საერთო საქმისადმი, წელს მხოლოდ 1,76 შრომადღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის საწყობის გამგედ მუშაობს კომუნისტი ზაქარია მიარაგოვი. მისი მეუღლე ელენე კოლმეურნეობას არ ეხმარება მუშაობაში. კოლმეურნეობისა და პარტორგანიზაციის ინტერესები არაფრად მიიჩნია კომუნისტმა კოლმეურნემ სონია ბიტაროვამ. მან უნებართვოდ მიატოვა სოფელი და სხვაგან წავიდა სამუშაოდ.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტორგანიზაცია, მისი ბიურო კომუნისტებს არ ზრდის მტკიცე პარტიულობის სულისკვეთებით. პარტორგანიზაცია დროზე არ მიუთითებს კომუნისტებს მათს ნაკლოვან მხარეებზე. როგორც ვთქვით, პარტიულ კრებაზე ხშირად აღნიშნავენ მუშაობის ნაკლოვანებებს, მაგრამ ეს ხომ არ კმარა. მთავარია ძალების მობილიზაცია, მისი მოფიქრებულად განაწილება, ნაკლოვანებათა გამოსწორება. ამისათვის კი აქ ნაკლებად ზრუნავენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ორგანიზაცია დღემდე ვერ იყენებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამლის ისეთ მნიშვნელოვან საშუალებას, როგორიცაა კედლის გაზეთი.

კედლის გაზეთ „მოწინავის“ (რედაქტორი ქ. კიბილოვა) ფურცლებზე ვერ შეხვდებით პრინციპულ კრიტიკას. ავიღოთ გაზეთის აპრილის ნომერი. აქ მოთავსებულია წერილი „კარგად ასრულებს მოვალეობას“. ამ წერილით გაზეთმა დაუმსახურებლად შეაქო კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ანა გათენოვა. მართალია, კოლმეურნეობას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, კერძოდ ძროხების სულადობის ზრდის გეგმა შესრულებული აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. საჭირო იყო გაზეთს ეთქვა ეს, აღენიშნა, რომ გასულ წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 820 ლიტრის ნაცვლად კოლმეურნეობამ მიიღო მხოლოდ 231 ლიტრი რძე, ხოლო წელს თვითეულ ძროხაზე მხოლოდ ორმოცამდე ლიტრი რძეა მიღებული. ამხ. ა. გათენოვა ურიგდება იმას, რომ ძროხები მწველავებისთვის არ მიუმაგრებიათ. მეცხოველეთა შორის ჩამლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. პარტორგანიზაციის მდივნის თანადასწრებით ფერმის ძროხის მწველავებმა ევა ოდიშელმა და ოლია ქუმალამოვამ განაცხადეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დამთავრების შემდეგ მათთან აღარავის ჩაუტარებია სააგიტაციო საუბარი. როცა კედლის გაზეთი მეცხოველეობის ფერმაზე წერდა, საჭირო იყო ეს ნაკლიც შეემჩნია.

კომუნისტების პარტიული პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის სუსტი ბრძოლა მნიშვნელოვნად ამცირებს პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობას. მოვიყვანთ ფაქტებს იმის ნათელსაყოფად, თუ რა ზიანი მოსდის საქმეს, როცა კომუნისტები გამსჭვალული არ არიან პასუხისმგებლობით იმ უბანზე შექმნილი მდგომარეობისათვის, სადაც ისინი მუშაობენ.

კოლმეურნეობისათვის მებაღეობა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აქ ხეხილის ბაღს უკავია 75 ჰექტარი. მებაღეობის ბრიგადაში მუშაობენ კომუნისტები ყ. გათენოვი, ხ. ოდიშელი, დ. ხრიკული, ფ. გურწიევი და სხვები. ისინი ვალდებული იყვნენ ზეგავლენა მოეხდინათ ყველა მებაღის საქმიანობაზე, სანიმუშოდ მოეწყოთ ხეხილის მოვლა-პატრონობა. მაგრამ ბაღში ალაგ-ალაგ ახლაც შეხვდებით ხეხილის მავნებლებს, ეს იმიტომ, რომ დაგვიანებით ან ცუდად განახორციელეს ზოგიერთი აგროღონისძიება, არ შეასრულეს ბაღის რემონტის გეგმაც. გამეჩხერებულ ადგილებზე გეგმაზე 100 ძირით ნაკლები ხეხილი ჩაყარეს. მებაღეობის ბრიგადაში მომუშავე კომუნისტები კი შეეგუენ ამ მდგომარეობას.

კოლმეურნეობას მეფრინველეობის ფართოდ განვითარების ხელსაყრელი პირობები აქვს. მეფრინველეობის საქმე კომუნისტ ელენე ჩერტაოევას აქვს მინდობილი. ამ უბანზეც ჩამორჩენაა. გეგმით გათვალისწინებული 1.830 ფრთის ნაცვლად, ფერმაში მხოლოდ 297 ფრთა ფრინველი ჰყავთ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ პარტორგანიზაცია სათანადოდ არ იბრძვის. კოლმეურნეები ნიკოლოზ მაჰარაშვილი, დუნია პაპუნაშვილი, შაქრო მჭედლიშვილი და სხვები სარგებლობენ კოლმეურნის ყველა უპირატესობით, ფლობენ საკარმიდამო ნაკვეთებს, მაგრამ არც თვითონ და არც მათი ოჯახის წევრები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო შრომაში. ამ ფაქტს პარტორგანიზაციამ ერთხანს ყურადღება მიაქცია, მაგრამ ვერ გამოიჩინა პრინციპულობა და საქმეს ბოლომდე არ მიჰყვა.

პარტორგანიზაციის ბიურო, მისი მდივანი ამხ. ა. გათენოვა გადამჭრელ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩააბან ადამიანები მუშაობაში, სისტემატურად აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობისათვის. ლენინგორის რაიონში არიან მოწინავე პარტორგანიზაციები, რომლებიდანაც შეიძლებოდა მაგალითის აღება. ავიღოთ თუნდაც მეზობელი სოფლის — წირქოლის კოლმეურნეობა „შრომის“ პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის მაგალითი. აქ საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მყოფი კომუნისტები არ კმაყოფილდებიან მარტო იმით, რომ თვითონ მუშაობენ საუკეთესოდ. მათ პარტორგანიზაციამ ჩაუნერგა პასუხისმგებლობის გრძნობა გვერდით მომუშავე ამხანაგების საქმიანობისთვისაც. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ილია შერმადინი, იშველიებს რა მუშაობაში ფართო აქტივს, სწრაფად ასწორებს კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ახლა ამ კოლმეურნეობას მრავლად ჰყავს მოწინავე ადამიანები. სოფლის ფარგლებს შორს გასცდა ყურძნის უხვი მოსავლის წირქოლელ ოსტატთა სახელი. კოლმეურნეობის წინსვლასა და განმტკიცებაში თვალსაჩინოა პარტორგანიზაციის როლი. ეს არაერთხელ თქმულა რაიკომის პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, პრესაში. ეს კარგად არის ცნობილი კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ა. გათენოვასთვისაც. მას შეეძლო გასცნობოდა მეზობელი სოფლის მოწინავე პარტორგანიზაციის მუშაობას, მიებაძა მისთვის, ამით დაეხმარებოდა თავის კოლმეურნეობას დაწინაურებაში. ამ საქმის მოგვარებაში პარტორგანიზაციისათვის კონკრეტული დახმარება უნდა გაეწია პარტიის ლენინგორის რაიკომს.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის

სოხუმი. (საკ. კორ.). საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

როგორც წინასწარი შემოწმებით გამოირკვა, პოლიტსკოლების, წრეებისა და თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტების უმეტესმა ნაწილმა დაამთავრა პროგრამითა და ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მასალების შესწავლა. ახლა მიმდინარეობს გავლილი მასალის გამეორება.

სამედიცინო-ბიოლოგიური სადგურის, ბოტანიკური ბაღის, ტყავფეხსაცმელის კომბინატის და სხვა პირველადმა პარტორგანიზაციებმა კრებებზე განიხილეს შემაჯამებელი მეცადინეობისა და თეორიული გასაუბრებისათვის მზადების საკითხები და დასახეს საჭირო ღონისძიებანი.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე დამთავრებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პროპაგანდისტების, კონსულტანტებისა და პარტორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირი. დამსწრეებს განემარტათ შემაჯამებელი მეცადინეობისა და გასაუბრების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები და მათი მნიშვნელობა პოლიტიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ყველა პარტორგანიზაცია, წრის მსმენელი, თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტი იცნობს შემაჯამებელი მეცადინეობისა და გასაუბრების კალენდარულ ვადებს.

პ ა რ ტ ი უ ლ ი კ რ ე ბ ე ბ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა ქ მ ე ა

პარტიული და სამეურნეო ცხოვრების საკვანძო საკითხების ღრმად, საქმის ცოდნით განხილვა პარტიულ კრებებზე ამაღლებს კომუნისტების აქტივობას, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, ეხმარება მათ კარგად გაეცნონ თავიანთი საწარმოს, კოლმეურნეობის, რაიონის და მთლიანად ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ცხაკაიას რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა დიდ უმრავლესობას კარგად აქვს შეგნებული პარტიული კრების აღმზრდელობითი როლი. ამის შედეგია, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კრებების მომზადებას, კომუნისტების აქტიურ მონაწილეობას საკითხების განხილვაში და დადგენილებათა შემუშავებაში. ამ მხრივ გამოირჩევიან მტს-ის, რუსული საშუალო სკოლის, უშაფათის სტალინის სახელობის და ბეთლემის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციები.

მაგრამ პარტიული კრების მომზადება-ჩატარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ამას წინათ პარტიის რაიკომის პლენუმმა მოისმინა სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობის ანგარიში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების საკითხს. პლენუმზე აღინიშნა, რომ ზანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში სათანადოდ არ ამზადებენ პარტიულ კრებებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 11 მარტს პარტიულ კრებაზე განიხილეს თესვისათვის მზადების საკითხი. კრებაზე დამსწრე 42 კომუნისტიდან კამათში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 3 კაცმა. ცხადია, კრება მომზადებული არ იყო, საკითხი ღრმად არ განხილულა და დადგენილებაც ზერელე მიიღეს. ზერელე, საერთო ხასიათის ღონისძიებებმა საქმეს ვერ უშველა, და კოლმეურნეობა კვლავინდებურად ჩამორჩა თესვაში. პარტორგანიზაციას პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში დაეხმარნენ რაიკომის მუშაკები. ამჟამად იქ მდგომარეობა გამოსწორდა.

პარტიულ კრებებს მოუმზადებლად იწვევენ სოფელ ფოცხოს სტალინის და ოქტომბრის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობების პარტორგანიზაციებში.

კრებების მოუმზადებლად ჩატარების ძირითადი მიზეზია აჩქარება საკითხების შერჩევაში, განსახილველი საკითხების შეუსწავლელობა.

პარტიის რაიონული კომიტეტი, და მისი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილება გააძლიერებენ პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას და დახმარებას, მიაღწევენ იმას, რომ ყოველ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში კრება ჩატარდეს მაღალ იდეურ დონეზე, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენდეს კომუნისტების აღზრდის სკოლას.

პ. ლატარია
საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე

კოლმეურნე მეჩაიეთა წარმატება

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე არაერთი მოწინავე კოლმეურნე გამოვლინდა. მოპოვებული წარმატებებით ისინი სახელგანთქმულ მეჩაიეებს არ ჩამოუვარდებიან.

მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია მთაგორიან ადგილებზეა გაშენებული. წინა წლებში აქ მცირე მოსავალს იღებდნენ.

ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ვაკიჯვარში სათავეში კომუნისტები და კომკავშირლები ჩაუდგნენ. კომუნისტი ძიხელ აროშიძე კარგად უვლის 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. ამ ნაკვეთზე აროშიძემ უკვე მოკრიფა 1.900 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი და გამოიმუშავა 260-მდე შრომადღე. აროშიძე ვარაუდობს სეზონის განმავლობაში ამ ნაკვეთზე 7.000 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. კომკავშირელ ნათელა გოგოტიშვილს 0,5 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 1.600 კილოგრამზე მეტი. ჩაის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე ანა და გოგონა მდინარაძეები, ზინა გედევანოვი და სხვები. კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოს 4.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც თითქმის 1.000 კილოგრამით აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

სოციალისტური შრომის გმირის ზინა ბაჟელიძის გამოცდილება კარგად აითვისეს და გამოიყენეს სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველებმა ციცინო დოლიძემ, თამარ გეგიაძემ, ქეთუნა კვერღელიძემ, რომლებმაც მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში უკვე 1.600-2.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს თვითეულმა. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ აღნიშნულ ნაკვეთებში თვითეულმა მათგანმა სეზონის განმავლობაში 7.000-8.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ მარტო მაისში გეგმის გადაჭარბებით 80.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ვ. ჯაყელი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კომბაინერთა ვალდებულებანი

მარნეული. (სპეც. კორ.). კოლმეურნეობებს პურის საუკეთესო ყანები აქვთ. შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტ მოსავალს მოელიან. ხორბალი უკვე შედის სიმწიფეში. მტს-ები და კოლმეურნეობები ენერგიულად ემზადებიან უხვი მოსავლის აღებისათვის. მარნეულის მტს-ით გამსხვილებულ კოლმეურნეობას ემსახურება, ასაღები აქვს 7.520 ჰექტარი. 19 „კომუნარის“, 4 „სტალინეცის“ მარკის და 2 თვითმავალი კომბაინი მზად არის და ელის მოსავლის აღების დაწყების სიგნალს.

მტს-ის მექანიზატორები თავის მომსახურე კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 19 ცენტნერ ხორბალს მოელიან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16,5 ცენტნერისა. კომბაინერი პ. იუშკო კომბაინ „კომუნარზე“ მუშაობს. მან შარშან 300 ჰექტარი აიღო. წელს ვალდებულება იკისრა მოსავალი აიღოს 450 ჰექტარზე და მიაღწიოს ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბლის მიღებას. კომბაინერი ი. რაჩენკო ამავე კოლმეურნეობაში იმუშავებს კომბაინ „სტალინეცზე“. მისი ვალდებულებაა მოსავალი აიღოს 550 ჰექტარზე. ასეთივე ვალდებულებანი აქვთ ნაკისრი კომბაინერებს მ. ლაზარიშვილს და ეროშინს.

თამარისის მტს-ში

ბოლნისი. (საკ. კორ.). თამარისის მტს-ის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა ვადამდე 111 პროცენტით შეასრულა. მოწინავეა მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ვალი გასანოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო და საანეულო ხვნის გეგმები. კომბაინებით მტს-მა წელს პურეული 2.150 ჰექტარზე უნდა აიღოს. თამარისელი მექანიზატორები საამისოდ კარგად ემზადებიან.

მექანიზატორთა ახალი კადრები

სურამი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურამის მექანიზაციის სკოლაში მოხდა კურსდამთავრებულთა გამოშვება.

მექანიზაციის სკოლა დაამთავრა 381 კაცმა. მათ შორის ტრაქტორისტთა ექვსთვიანი კურსები დაამთავრა 66 კაცმა, რადიოტექნიკოსების ოთხთვიანი კურსები — 13, კომბაინერების ხუთთვიანი კურსები — 60, ცხვრის ელექტროპარსვის აგრეგატის ბრიგადებისა — 30 კაცმა.

კურსებზე გადამზადებულ იქნა აგრეთვე 112 ტრაქტორისტი.

სკოლაში გადასამზადებლად მიიღეს 172 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და ტრაქტორისტი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 31 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირზე პარიზში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ა. გრომიკოს გადასცეს იდენტური ნოტები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ წინასწარ თათბირზე არ იყო მიღწეული შეთანხმება ურთიერთმისაღები დღის წესრიგის შესახებ და წინადადებას იძლეოდნენ 23 ივლისს ვაშინგტონში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი დღის წესრიგის იმ სამი ვარიანტიდან ერთ-ერთის საფუძველზე, რომლებიც სამი სახელმწიფოს დელეგაციებმა 2 მაისს წარადგინეს. აღნიშნული ნოტების ასლები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოებმა იმავე დღეს გამოუგზავნეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

4 ივნისს სსრ კავშირის წარმომადგენელმა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირზე პარიზში ა. გრომიკომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს აღნიშნულ თათბირზე გადასცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა სამი სახელმწიფოს 31 მაისის ნოტაზე.

საბჭოთა მთავრობის ნოტის ტექსტში ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია, როგორც წინათაც მიაჩნდა, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რაც შეიძლება მალე მოწვევა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხება ევროპაში დაძაბული მდგომარეობის ლიკვიდაციას და მშვიდობის განმტკიცებას.

მაგრამ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილი არ არის მინისტრების მოადგილეთა თათბირის მუშაობის შეწყვეტა პარიზში და საჭიროა შესაძლებლობა მიეცეს მას განაგრძოს თავისი მუშაობა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესათანხმებლად და დღის წესრიგში ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების საკითხის, როგორც შეუთანხმებელი პუნქტის, შესატანად.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ გულახდილმა განხილვამ ამერიკის სამხედრო ბაზებისა და ატლანტიკის პაქტის საკითხისა, რომელიც სსრ კავშირისა და სამი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუარესების მთავარი მიზეზი გახდა, მნიშვნელოვნად შეანელებდა დაძაბულობის ატმოსფეროს ევროპაში და გააადვილებდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირის მუშაობას.

ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობა მზად იქნება დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირზე ვაშინგტონს, როგორც კი საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი პარიზში დადებითად გადაწყვეტს საკითხს დღის წესრიგში ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების პუნქტის შეტანის შესახებ“.

საბჭოთა მთავრობის ამ ნოტის ასლები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 4 ივნისს გაუგზავნა მოსკოვში აკრედიტებულ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოებს. (საქდესი).

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკეულ ნაწარმოებთა გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ნახევარ მილიონიანი ტირაჟით გამოუშვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. გამოცემულია აგრეთვე კ. მარქსის ნაშრომები „გოთას პროგრამის კრიტიკა“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“ (კ. მარქსის მიერ 1847 წლის 14-30 დეკემბერს წაკითხული ლექციები).

გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათება (სისმონდი და ჩვენებური სისმონდისტები)“, „რსდმპ II ყრილობის ამბავი“, „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში“, „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“, „აპრილის თეზისები“, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“. ბროშურები იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის ტექსტის მიხედვით.

ცალკეულ ბროშურებად გამოიცა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია (პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო)“, „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობას“, „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობას“, და „საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“. ბროშურები იბეჭდება ი. ბ. სტალინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. „საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით: ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა. (საქდესი).

გამოჩენილი რუსი მწერლების დოკუმენტები

ლენინგრადი, 4 ივნისი. (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში შედგენილია რუს მწერალთა და კრიტიკოსთა ახლადშემოსული ავტოგრაფებისა და მასალების მეცნიერული მიმოხილვა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში შემოვიდა სულ 7.500-ზე მეტი ავტოგრაფი და დოკუმენტი. ა. ს. პუშკინის გარდაცვალების შემდეგ აქ პირველად გააერთიანეს მისი პირადი არქივი და ის მასალები, რომლებიც დიდი სახალხო პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას და მის თხზულებათა გამოცემას ეხება. მასალებს შორის არის ა. ს. პუშკინის ავტოგრაფები, სამუშაო რვეულები, ხელნაწერები, დღიურები, წერილები, ნახატები. სულ პუშკინის ფონდში ამჟამად 1.700-ზე მეტი ავტოგრაფი ითვლება.

მ. ი. ლერმონტოვის ფონდი შეივსო მასალებით უკანასკნელი დუელის, მის ნაწარმოებთა თარგმანების შესახებ. მიღებულია მ. ი. ლერმონტოვის ეგრეთწოდებული „ყაზანის რვეული“, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

ნ. ვ. გოგოლის ფონდშია კომედია „რევიზორის“ სიუჟეტის ისტორიასთან დაკავშირებული ახალი მასალები.

მიღებულია ავტოგრაფები, აგრეთვე მასალები გ. რ. დერჟავინის, ნ. ა. ნეკრასოვის, ი. ს. ტურგენევის, ი. ა. გონჩაროვის, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, აგრეთვე საბჭოთა მწერლების — ვ. ვ. მაიაკოვსკის, ა. პ. ჩაპიგინის, ა. ს. ნოვიკოვ-პრიბოისა და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„დიდება ლენინს, დიდება სტალინს!“

კიევი, 4 ივნისი. (საქდესი). უკრაინის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა კრებული — „დიდება ლენინს, დიდება სტალინს!“. წიგნი იწყება მ. რილსკის ლექსით — „ლენინი ჩვენთანაა“. დიდი ბელადებისადმი უდიდეს სიყვარულს გამოხატავენ ლექსები: ვ. სოსიურასი — „ლენინი“ და „შენი სახელი“, პ. ტიჩინასი — „ლენინი“ და „სტალინზე“, ა. მალიშკოსი — „ბელადი“ და „შეხვედრა“, პ. ვორონკოსი — „ჩვენი ბედნიერება“. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ახალგაზრდა უკრაინელი პოეტების დ. ლუცენკოს, ნ. რუდის, ვ. ლესნიაკის, ვ. შვეცის, დ. ბელოუსისა და სხვ. ლექსები.

წიგნის მეორე ნაწილში მოთავსებულია ხალხური შემოქმედების ნაწარმოებნი: სიმღერები — „ლენინზე“, „სტალინზე“, „ლენინი და უკრაინა“, „სტალინი — ბელადი და მეთაური“ და სხვ.

კრებული გამოვიდა უკრაინულ ენაზე მ. ბაჟანის, ა. მალიშკოსა და პ. სურკოვის რედაქციით.

ა. მ. გორკის ნაწარმოებთა ჩაწერა აფსკზე

რადიოინფორმაციის კომიტეტის აფსკზე ჩაწერის სახლმა ა. მ. გორკის გარდაცვალების 15 წლისთავისათვის ჩაწერა დიდი რუსი მწერლის რამდენიმე ნაწარმოები ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა შესრულებით.

ჩაწერილია ა. მ. გორკის პიესა „მტრები“, რომელიც ახლა იდგმება მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის სამხატვრო თეატრის სცენაზე. ჩაწერაში მონაწილეობას იღებდნენ თეატრში ამ პიესის მთავარი როლების ძირითადი შემსრულებლები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა, ა. კ. ტარასოვა, მ. ნ. კედროვი, ა. ნ. გრიბოვი და სხვები. მთავრდება ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობთა შესრულებით აფსკზე სპექტაკლის „ეგორ ბულიჩევი და სხვების“ ჩაწერა.

აფსკზე აღბეჭდილია აგრეთვე „სიმღერა შევარდენზე“ სსრ კავშირის სახალხო არტისტ რ. ნ. სიმონოვის შესრულებით და „სიმღერა გრიგალზე“ სსრ კავშირის სახალხო არტისტ ნ. დ. მორდვინოვის შესრულებით. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კოლმეურნეები იწონებენ მოძმე სომხეთის კოლმეურნეთა თაოსნობას

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, მეცხოველეობის მუშაკები დიდი მოწონებით შეხვდნენ სომხეთის სსრ კოლმეურნეთა წინადადებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საერთო კრებებზე გულდასმით ეცნობიან მოძმე სომხეთის მეცხოველეების მიერ წამოყენებულ პირობებს, ებმებიან შეჯიბრებაში და თავის მხრივ კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს იმ ვალდებულებათა დამატებით, რომლებიც მათ აიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის 1951 წლის 28 თებერვლის მიმართვასთან დაკავშირებით. კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია იმ დამატებით ვალდებულებებზე, რაც კოლმეურნეებმა, საკოლმეურნეო ფერმების მუშაკებმა იკისრეს სომხეთის სსრ მეცხოველეთა მოწოდების გაცნობისას.

ყველა ფერმამ გეგმა გადაჭარბებით უნდა შეასრულოს

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას სომხეთისა და საქართველოს მეცხოველეობის მუშაკებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. შედგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირი. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პირობები დამსწრეთ გააცნო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბურდულმა.

სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბექაურმა. ორი მოძმე რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრება,—თქვა მან, — გვავალებს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობა მეცხოველეობის აღმავლობისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ მეცხოველეობის ყველა ფერმამ გადაჭარბებით შეასრულოს პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმები.

გუდამაყრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. პაპაშვილმა განაცხადა, რომ კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო გადაჭარბებით შეასრულოს მეცხოველეობის განვითარების გეგმა, თვითეულ საფურაკე ძროხაზე მიიღოს 1.200 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა, ხოლო გაუმჯობესებული ჯიშის 20 ძროხიდან თვითეულზე — 2.000 ლიტრი; თვითეულ ცხვარზე მიიღოს 3,6 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 2,65 კილოგრამისა, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 50 ცენტნერი მატყლი; საზამთრო საძოვრებზე ააგოს პირუტყვის ახალი სადგომები, მეცხოველეობის ფერმებში მოაწყოს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ქ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ვერძეულმა თათბირს აღუთქვა, რომ კოლმეურნეობა გადაჭარბებით შეასრულებს მეცხოველეობის განვითარების გეგმას, თვითეულ საფურაკე ძროხაზე მიიღებს 1.100 ლიტრ რძეს, ხოლო 17 ძროხიდან თვითეულზე 2.200 ლიტრ რძეს; მიმდინარე წელს კოლმეურნეობა ააგებს მსხვილფეხა ცხოველის მექანიზებულ ფერმას და კარგად მოწყობილ საქათმეს.

მთლიანად რაიონის მეცხოველეებმა იკისრეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის იყოლიონ ათი ათასი სულით მეტი ცხვარი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული; მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 107,7 პროცენტით, ღორისა—107 პროცენტით, ფრინველისა — 150 პროცენტით, თვითეულ საფურაკე ძროხაზე მიიღონ 1.080 ლიტრი რძე, ნაცვლად 900 ლიტრისა, თვითეულ ცხვარზე მიიღონ 3,5 კილოგრამი მატყლი, ნაცვლად 2,65 კილოგრამისა. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 500 ცენტნერი მატყლი.

ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე პირუტყვისათვის საკმარისი საკვების დროზე დამზადებას, ახალი ბინების მშენებლობას, ფერმებში სანიმუშო სისუფთავისა და ზოოვეტერინარული წესების ზუსტად დაცვას, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და სხვ.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დააწესეს გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფერმებისათვის. შეიქმნა ჟიური.

თათბირის მონაწილეებმა რაიონის ყველა მეცხოველეს მოუწოდეს ენერგიის დაუზოგავად იშრომონ მეცხოველეობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად.

ანყურელთა ვალდებულებანი

ახალციხე. (საკ. კორ.). სომხეთის სსრ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შინაარსი ახალციხის რაიონის აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეებს გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ელეონორა ბერაიამ. — ჩვენს კოლმეურნეობას, — თქვა მან, — ოთხი სასაქონლო ფერმა აქვს. თვალსაჩინო წარმატება გვაქვს ცხოველთა სულადობის გეგმის შესრულებაში. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებელს. ორ მოძმე რესპუბლიკას შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეგვიწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მწველავებს მ. ჩუბინიძესა და მ. ქურტანიძეს მოსავლელად მიჩენილი ჰყავთ თორმეტ-თორმეტი ძროხა. მათ იკისრეს თითო ძროხაზე მიიღონ ათასი ლიტრი რძე.

აწყურელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან სოფელ გიორგიწმინდის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობასთან და იკისრეს: 100 პროცენტით შეინარჩუნონ ძროხის, ცხვრის, ღორისა და ცხენის ნამატი, თვითეულ საფურაკე ძროხაზე წველადობის ნორმას გადააჭარბონ 100 ლიტრი რძით, მიაღწიონ ძროხების ბერწიანობის შემცირებას, პირუტყვის დაგრილება მოაწყონ ჯიშიანი მწარმოებლებით, ფუტკრის ყველა ოჯახი გადაიყვანონ ჩარჩოიან სკაში და 220 ფუტკრის თვითეულ ოჯახზე მიიღონ 30 კილოგრამი თაფლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოაწყონ 30 ჰექტარ ნაკვეთზე მრავალწლიანი ბალახის გამოთესვა, მრავალწლიან ბალახთა ნათესი ფართობი აიყვანონ 50 ჰექტარამდე, დაამზადონ 160 ტონა სასილოსე საკვები, უხეში საკვების მოპოვების გეგმა შეასრულონ 150 პროცენტით, სეზონში თიბვა ჩაატარონ ორჯერ.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებაში გათვალისწინებულია 250 სული მსხვილფეხა საქონლის, 500 ფრთა ქათმის, 500 ცხვრის და 30 ცხენის სადგომი ბინების აგება.

აწყურელ კოლმეურნეთა გამოწვევას ახალ ვალდებულებათა აღებით უპასუხეს გიორგიწმინდის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

ნამატის შენარჩუნებისათვის, პროდუქტიულობის გადიდებისათვის

ხაშური. (საკ. კორ.). ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სომხეთის სსრ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაცნობას, ფერმის მწველავმა რ. ენუქიძემ იკისრა საუკეთესოდ მოუაროს 19 ძროხას, მთლიანად შეინარჩუნოს ნამატი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 ლიტრისა, თვითეულ ძროხას მოსწველოს 1.200 ლიტრი რძე. კოლმეურნეობის უფროსმა მეცხვარემ არ. მაღალდაძემ ვალდებულება იკისრა მთლიანად შეინარჩუნოს ცხვრის ნამატი და თვითეულ ცხვარზე მიიღოს 35 ლიტრი რძე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს თვითეულ სულ ძროხაზე გეგმის ზევით 150 ლიტრით გაზარდონ წველადობა, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, ხბოების 50 პროცენტი გადაიყვანონ ხელოვნურ კვებაზე და მათი სადღეღამისო მატება აიყვანონ 500 გრამამდე; ბერწიანობის ლიკვიდაციის მიზნით მოაწყონ ძროხებისა და დედაცხვრების ხელოვნური დათესლვა, გეგმის გადამეტებით მოამზადონ 500 ცენტნერი უხეში საკვები, 300 ცენტნერი სილოსი.

ზემო ოსიაურის მეცხოველეობის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ამავე რაიონის ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

იბრძვიან ძროხების წველადობის გასადიდებლად

აბაშა. (საკ. კორ.). კოლმეურნეები ახალ წარმატებას აღწევენ მეცხოველეობის განვითარებაში. სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს წელს მოაწყონ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის 4 სახის ფერმა, 160 საფურაკე ძროხისაგან საშუალოდ თვითეულზე მიიღონ 1.350 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა, გეგმის გადამეტებით დაამზადონ 5.000 ცენტნერი უხეში საკვები და 1.500 ცენტნერი სილოსი.

სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ვალდებულება აიღეს 70 ძროხისაგან საშუალოდ მიიღონ 1.300 ლიტრი რძე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შეასრულონ 10 პროცენტის, ღორებისა — 15 პროცენტის, ხოლო ფრინველისა — 18 პროცენტის გადაჭარბებით, ფერმებში ფართოდ მოაწყონ სამუშაოთა მექანიზაცია. სოფელ ქოლობნის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში იკისრეს თვითეულ საფურაკე ძროხას მოსწველონ 1.200 ლიტრი რძე.

მთლიანად აბაშის რაიონის კოლმეურნეთა ვალდებულება ითვალისწინებს: თვითეულ საფურაკე ძროხაზე 1.000 ლიტრი რძის მიღებას ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა, გეგმის ზევით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის 8 პროცენტით გადიდებას, ღორისა — 12 პროცენტით, ხოლო ფრინველისა—10 პროცენტით.

პიონერული კარნავალი

ლავრენტი ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისა და სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად სასახლის პარკში მოაწყო ბავშვთა დიდი ზეიმი — პიონერული კარნავალი.

კარნავალის დღისათვის ილუმინაციითა და გირლანდებით მორთულ-მოკაზმულ პარკის ხეივნებში მოწყობილი იყო ატრაქციონები, მასობრივი თამაშის, ცეკვებისა და გონივრული გართობის მოედნები. პარკში უხვად იყო აგრეთვე გამოფენილი საინტერესო გამოცანების, ამოცანებისა და რებუსების ფარები. პარკის ცენტრალურ მოედანზე მოწყობილი იყო ესტრადა ბავშვთა თვითმოქმედების ნიმუშების საჩვენებლად.

7 საათზე დაიწყო საკარნავალო კოსტიუმებით გამოწყობილ ბავშვთა აღლუმი, რომელშიც 1.500-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ბავშვთა მიერ მოფიქრებული ბევრი კოსტიუმი გამოხატავდა ხალხთა მეგობრობას, მშვიდობისათვის ბრძოლას. კოსტიუმები გაკეთებული იყო აგრეთვე ხუთწლედის თემებზე. გარდა ამისა, ბავშვებმა თვითონ მოიფიქრეს და დაამზადეს კოსტიუმები თავიანთი საყვარელი მოთხრობებიდან, ზღაპრებიდან, კინოსურათებიდან, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან.

გადაწყდა, რომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სასახლემ ყოველწლიურად მოაწყოს პიონერული კარნავალი.

პრემია დამზადებათა გეგმების შესრულებისათვის

ბოლნისი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს ბოლნისის რაისარწმუნებულის კოლექტივმა კარგი წარმატება მოიპოვა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმების შესრულების საქმეში. ხორცის ჩაბარების I კვარტალის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, რძის — 134,7, მატყლის — 140, კვერცხის — 133,7, მსხვილი ტყავის—106,7, წვრილი ტყავის — 101,6 და ღორის ტყავისა—100 პროცენტით.

ამ დღეებში რაირწმუნებულის სახელზე მიღებულია ტელეფონოგრამა, რომლითაც იტყობინებიან, რომ დამზადებათა პირველი კვარტალის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს ბოლნისის რაისარწმუნებულს მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და დამზადებათა სამინისტროს მეორე პრემია.

ამ ცნობის პასუხად ბოლნისელებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა.

ჯილდოების გადაცემა მედიცინის მუშაკთათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ეგნატაშვილმა მთავრობის ჯილდოები გადასცა მედიცინის მოწინავე მუშაკებს რუსთავში.

ქალაქის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს პ. ახალაძეს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ს. ტიტვინიძეს, ვენდისპანსერის გამგეს ქ. ქადაგიძეს და ამავე დისპანსერის ექიმს ვ. ხიზანიშვილს მედალი „შრომითი წარჩინებისათვის".

საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები

ახალციხე. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის აპრილიდან რაიონის 19 კოლმეურნეობაში გაიხსნა საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები.

სანიმუშოდაა დაყენებული ბავშვთა მოვლა-პატრონობა განსაკუთრებით სოფელ აწყურის სტალინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის, პამაჩის შაუმიანის, დაბა ვალეს მახარაძის, ურავლის 26 კომისრის, ელიაწმინდის საბჭოთა საქართველოს, წყრუთის ბუდიონის და წყალთბილის წითელი მესაზღვრის სახელობის კოლმეურნეობათა საბავშვო ბაგებში.

უმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურება

ბათუმი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოველწლიურად მილიონობით მანეთს ხარჯავს ქალაქის საბინაო ფონდის აღდგენასა და კაპიტალურ შეკეთებაზე. მიმდინარე წელს ამ მიზნით დაიხარჯება 3 მილიონი 300 ათასი მანეთი. კაპიტალური რემონტი გაუკეთდება ქალაქის 200-ზე მეტ სახლს. მარტო 1951 წლის პირველ კვარტალში კაპიტალურად შეკეთდა 35 სახლი, რაზეც 400 ათასი მანეთი დაიხარჯა. საბინაო ფონდის შეკეთებასთან ერთად წელს დიდი მუშაობა ჩატარდება ელექტროგაყვანილობის, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გაფართოებისათვის. გათვალისწინებულია ათობით საცხოვრებელი სახლის ფასადის არქიტექტურული გაფორმება. სარემონტო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის ეწყობა სახენკლო-შემღებველი და სხვა დამხმარე სახელოსნოები.

თეატრი

„უ მ ზ ი თ ვ ო"

გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლი

„მე სიყვარულს ვეძებდი და ვერ ვპოვე. მე მიყურებდნენ და მიყურებენ როგორც გასართობს. არასოდეს არავინ არ ცდილა ჩემს სულში ერთხელ მაინც ჩაეხედა, ვერავისგან ვერ ვიგრძენი თანაგრძნობა", — მწარედ მოთქვამს ა. ოსტროვსკის პიესის — „უმზითვოს" გმირი, ბურჟუაზიული ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლული ლარისა. ამაოდ ეძებდა ლარისა წმინდა სიყვარულს. ჩარჩების შემეცნებაში წმინდა სიყვარული არ არსებობს, იგი მათთვის უცხოა. სიყვარულს ეძებდა ლარისა და ვერ ჰპოვა. მისი წმინდა გრძნობები გაქელეს და ლაფში ამოსვარეს. გალაღებული მებატონე პარატოვი უსინდისოდ გაათამაშებს შეყვარებულს და თავზე ხელს უბნევს ლარისას. მაგრამ უცხოს როგორ დაემდუროს ლარისა, როცა მშობელი დედაც კი უსირცხვილოდ ვაჭრობს თავისი ქალიშვილის სილამაზით.

ოქროს პარკი, აცუნცრუკებული ხანდაზმული კნუროვი და ვაჭარი ვოჟევატოვი წილს ყრიან, თუ ვის დარჩეს ნივთად მიჩნეული ლარისა.

„...ნივთი... დიახ, ნივთი! ისინი მართალი არიან. მე ნივთი ვარ და არა ადამიანი", — სასოწარკვეთით გაიძახის ლარისა და ხსნას სიკვდილში ჰპოვებს. მართალია ის ამ ნივთის ერთ-ერთი პრეტენდენტის, დაბეჩავებულ კარანდიშევის დამბაჩის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ლარისას ცხოვრების ასეთი დაბოლოება იმდენად ლოგიკური და სასურველი იყო მისთვის, რომ თავის მკვლელს მადლობასეუბნება: „ჩემო კარგო, რომ იცოდე რა სიკეთე მიყავი", და შორდება აშმორებულ გარემოს, წუმპის მეუფებას.

ა. ოსტროვსკიმ მკვეთრად დაგვიხატა ამ პიესაში ბურჟუაზიის სამყარო, მისი სულიერი აღლიდობა და მორალი. დრამატურგი დიდხანს წერდა (1874-1878 წ.) ამ პიესას, ბევრი დრო მოანდომა „უმზითვოს" დასრულებას, და შედეგად მივიღეთ სანიმუშო ქმნილება. „უმზითვო" ოსტროვსკის შემოქმედების მწვერვალია.

იოლი როდია ამ კლასიკური დრამის განსახიერება. ვის არ ხიბლავს და არ იტაცებს პიესის დრამატული სიუჟეტი, მძაფრი კონფლიქტი, ლამაზი მუსიკალური ენა, მჭევრმეტყველი დიალოგები და პერსონაჟთა სიმართლით ასახვა. პიესა მდიდარ მასალას აძლევს დამდგმელსა და აქტიორებს — გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა და ძალა.

სიმართლით დაწერილი პიესა თეატრისაგან მოითხოვს ასევე სიმართლით წარმოსახვას. ყოველივე რეჟისორული ეფექტიანი „გამომგონებლობა" და „განსაცვიფრებელი" მიზანსცენები პიესას ვერაფერს შემატებს, პირიქით ავნებს.

გრიბოედოვის თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებია ამ საქმეს, ძალლონე არ დაუშურებია და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში კარგი შედეგებისთვისაც მიუღწევია. პიესის დამდგმელს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ალ. თაყაიშვილს მთავარი ყურადღება პიესის შინაარსის ცხადყოფისათვის მიუქცევია. ამით აიხსნება პიესის გამარჯვება. მხატვარ ლ. შლეიფერის მიერ გემოვნებით და სადად გაფორმებული დეკორაციები სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს.

მოწოდების სიმაღლეზე დგას აქტიორთა კოლექტივი. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ლარისას როლის შემსრულებელი მსახიობი ნ. ბურმისტროვა. ლარისა მეტად რთული პიროვნებაა. მასში უხვად არის წმინდა სიყვარულისადმი ლტოლვა, ფაქიზი გრძნობები და თავდავიწყებამდე გატაცება. მსახიობ ბურმისტროვას მეტად ორიგინალურად აქვს გააზრებული ლარისას სახე და გატკეპნილი გზით არ მიდის ამ როლის განსახიერებისას. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მელოდრამატიზმში არვარდება და ლარისას ნატურის „ბოშურ" მიდრეკილებას, რაც ძველად დამკვიდრებული იყო ამ როლის განსახიერებისას, ხაზს არ უსვამს. მსახიობი ოსტროვსკის შთანაფიქრს არ სცილდება და კარგ შედეგებსაც აღწევს. მაგრამ მსახიობი მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს, ლარისას როლი უფრო მეტ დრამატულ სიმძაფრეს მოითხოვს, რის შესაძლებლობაც მსახიობს საკმაოდ აქვს.

პარატოვის როლს ორი მსახიობი ასრულებს: გრიბოედოვის თეატრის „სტუმარი", საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი დავითაშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ნირვანოვი. გიორგი დავითაშვილის პარატოვი უფრო კოლორიტულია, ეფექტური და ტემპერამენტიანი. როდესაც გ. დავითაშვილის პარატოვს უყურებ, გწამს, რომ ლარისას სწორედ ასეთი ადამიანის შეყვარება შეეძლო ასე თავდავიწყებით. ნირვანოვის პარატოვი უფრო ახალგაზრდაა, მაგრამ ნაკლებად ტემპერამენტიანი, და მასში არ იგრძნობა გალაღებული მებატონე.

კარანდიშევის როლს ორი მსახიობი ასრულებს — იგორ ზლობინი და ე. კრეჟენევიჩი. პირველი უფრო ტემპერამენტიანია, უფრო ეფექტური და მგრძნობიარე, და ამიტომაც მაყურებლის უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს, ვიდრე ე. კრეჟენევიჩი, მაგრამ თუ პირველი ალაგ-ალაგ ძველი სალებავებით სარგებლობს, მეორე უფრო თავისებურ, სხვა როლებისაგან განსხვავებულ ორიგინალურ სახეს ქმნის.

ხარიტა ოგუდალოვას საინტერესო სახეს ქმნის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ბელეცკაია. ამავე როლში დამაკმაყოფილებელია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. სატინა.

სახასიათო როლების უდავოდ ნიჭიერი შემსრულებლის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ა. ზაგორსკის გამოჩენა სცენაზე ყოველთვის ახარებს მაყურებელს. მსახიობი ყველა როლს თავისებურ სახეს გამოუნახავს ხოლმე და მოქანდაკესავით დიდი ოსტატობით ძერწავს. ამ პიესაშიც მისი კნუროვი მეტად ორიგინალურია, დიდი ოსტატობით განსახიერებული, მაგრამ თავისთავად მეტად სადავო. კნუროვი ავტორის მიხედვით ხანში შესულია და არა ღრმა მოხუცი. მსახიობი ზაგორსკის გაგებით კნუროვი უფრო ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავეს" დუდკინს წააგავს, ვიდრე მეორედ გაყმაწვილებულ ძრიელ კნუროვს. ხოლო იმ გაგებით, როგორც ზაგორსკი წარმოგვისახავს თავის გმირს, ის მეტად კოლორიტულია.

საკმაოდ კარგია ვოჟევატოვის როლში პ. ლუსპეკაევი.

გულწრფელად და დიდი იუმორით განასახიერებს რობინზონის როლს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ვიაზემსკი.

დამაკმაყოფილებელი არიან ეპიზოდურ როლებში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. სმოროდინცევი (ბოშა ილია), ვ. იანოვსკაია (ეფროსინა პოტაპოვნა), ბ. პოლტავცევი (გავრილა) და კ. ზაბელინი (ივანე).

ყოველი მოქმედების შემდეგ მაყურებელთა მხურვალე ოვაციები მოწმობს თეატრის მორიგ გამარჯვებას და ამ სპექტაკლის წარმატებას.

ა. ბურთიკაშვილი

„ნ ა პ ე რ წ კ ლ ი დ ა ნ"

ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში დაიწყო ბათუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

გასტროლების პირველ დღეს თეატრის კოლექტივმა დედაქალაქის მშრომელებს უჩვენა შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან".

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. მრევლიშვილს, მხატვრობა — გ. ცენტერაძეს. მუსიკა დაწერა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აკ. ანდრიაშვილმა.

სპექტაკლში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის როლი შეასრულა აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. კაციშვილმა, სოსო ჯუღაშვილის როლი — აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა პ. ინწკირველმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე, ა. მგელაძე, ნ. თეთრაძე, ხ. მეგრელიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. აფხაზავა, ქ. დოლიძე, გ. ახვლედიანი, გ. იმნაიშვილი და ლ. სვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. ინასარიძე, მსახიობები ნ. წერეთელი, დ. კალანდაძე, ვ. ლორია, ვ. ჩხაიძე, რ. რუსია, ბ. გურგენიძე, ვ. ძიძიგური, მ. ჯალაღანია და სხვები.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

სკოლების წლიური ნამუშევრების გამოფენა

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსული საშუალო სკოლის შენობაში მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით მოეწყო ქალაქის სკოლების წლიური ნამუშევრების გამოფენა. გამოფენის მიზანია სასწავლო ფარგში მოპოვებულ მიღწევათა ჩვენება, მოწინავე სკოლების გამოცდილების გაზიარება.

გამოფენაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა სხვადასხვა თვითნაკეთი ხელსაწყოები, სასკოლო ორგანიზაციების მუშაობისა და საგნობრივ და საკლასო მეთოდური კაბინეტების მიერ გაწეული მუშაობის მასალები, სანიმუშო კედლის გაზეთები, წერითი სამუშაოების რვეულები, ხაზვის ალბომები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ნორჩ მიჩურინელთა წრეების ნამუშევრები და სხვ.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა დაიხურება 20 ივნისს, რის შემდეგ მოეწყობა საქალაქო მეთოდური კონფერენცია. კონფერენცია გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით შეაჯამებს ქალაქის სკოლების მეთოდურ მუშაობას.

როცა არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

კეთილმოუწყობელია ქარელის რაიონის სოფელი ქვენატკოცა. ეს სოფელი აგარის შაქრის ქარხანას ერთი კილომეტრით არის დაშორებული. რამდენიმე წლის წინათ სოფელი ელექტროფიცირებული იყო, ელექტროდენს იღებდა შაქრის ქარხნიდან. დროთა განმავლობაში ელექტროგაყვანილობის ბოძები დალპა. მათი აღდგენისათვის არავინ იზრუნა და სოფელი უდენოდ დარჩა. ასეთი ბედი ეწია ამ სოფელში რადიოგაყვანილობასაც. სიძველის გამო ჩაინგრა სოფელში მისასვლელი მდინარე სურამულაზე არსებული ხიდიც.

რამდენიმე ხნის წინათ სოფელ ქვენატკოცაში მცხოვრებმა ნიკოლოზ მესხიძემ განცხადებით მიმართა „კომუნისტის" რედაქციას. იგი სწერდა რედაქციას, რომ მისი სოფელი უყურადღებოდ არის მიტოვებული, სოფლის კეთილმოწყობისათვის არავინ ზრუნავს.

ქარელის რაისაბჭოს აღმასკომმა ამ წერილთან დაკავშირებით ადგილზე შეისწავლა საკითხი და მიმდინარე წლის პირველ თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ნება დართო ქვენატკოცის სასოფლო საბჭოს სოფლის კეთილმოწყობისათვის ათასი მანეთი დაეხარჯა თვითდაბეგვრის თანხიდან, ამასთანავე ელექტრობისა და რადიოს გაყვანილობისათვის ტექნიკური ხელმძღვანელობა და სამშენებლო მასალების მომარაგება დაევალათ სხვადასხვა ორგანიზაციებს. შესრულების ვადად დაწესებული იყო 20 აპრილი. როგორც ვხედავთ, მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ხოლო სამუშაოები ჯერაც არ არის დაწყებული.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ქარელის რაიონში ერთ-ერთ მივიწყებულ უბანს წარმოადგენენ. რუისის სასოფლო კლუბის სახურავი მთლიანად დამპალია და შიგ წყალი ჩამოდის. კლუბს არა აქვს ინვენტარი, შესაკეთებელია მისი კედლები და სხვ. ამ კლუბის კაპიტალური შეკეთების საკითხი ჯერ კიდევ 1948 წელს განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება შეუსრულებელი დარჩა.

მიმდინარე წლის 8 მარტს რაიაღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებამ აღმასკომის განსახილველად შეიტანა რუისის სასოფლო კლუბის მუშაობის საკითხი და მოითხოვა კლუბის კაპიტალური შეკეთება, რადგან უამისოდ იქ არავითარი მუშაობა არ შეიძლებოდა. რაისაბჭოს აღმასკომმა მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ მუხლში ჩაწერა: „დაევალოს რუისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. რაზმიაშვილს ქმედითი დახმარება გაუწიოს კლუბს კეთილმოწყობის საქმეში". ამის შემდეგ არც რაზმიაშვილს და არც ქარელის რაისაბჭოს აღმასკომს კლუბის კეთილმოწყობის საქმე არ გახსენებიათ.

კიდევ ერთი ფაქტი. მიმდინარე წლის 13 მარტს რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა ქარელისა და იმერხევის საბჭოს სასოფლო სამკითხველოების მუშაობის საკითხი. იმის გამო, რომ ქარელის სასოფლო სამკითხველოს სრულებით არა აქვს ბინა და მოთავსებულია საბჭოს მდივნის კაბინეტში, ხოლო იმერხევის სასოფლო სამკითხველო მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში, აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება და დაავალა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებს სამკითხველოების ბინები გამოენახათ. ეს გადაწყვეტილებაც შეუსრულებელი დარჩა.

ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის „პრაქტიკიდან" კიდევ შეიძლებოდა ბევრი ასეთი ფაქტის მოყვანა, მაგრამ აღნიშნულიც კმარა იმისათვის, რომ დასკვნა გამოვიტანოთ: აღმასკომი და მისი თავმჯდომარე ამხ. ვ. წიკლაური პატივს არ სცემენ საკუთარ გადაწყვეტილებებს, არ იბრძვიან მათი შესრულებისათვის. ასეთ გადაწყვეტილებებს კი, როგორც ცნობილია, არავითარი ფასი არა აქვთ.

ვ. ბურბენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი

პარიზი, 4 ივნისი. (საქტასის სპეც. კორ.). დღეს, სამი დღის შეწყვეტის შემდეგ, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები მორიგ სხდომაზე შეიკრიბნენ. თავმჯდომარეობდა საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 31 მაისის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა სსრ კავშირის წარმომადგენელს გრომიკოს გადასცეს თავიანთ მთავრობათა ანალოგიური ნოტები სსრ კავშირის მთავრობისადმი წინადადებით — 23 ივლისს ვაშინგტონში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი დღის წესრიგის იმ სამი ვარიანტიდან ერთ-ერთის საფუძველზე, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციებმა 2 მაისს შეიტანეს და, რომლებიც როგორც ცნობილია, არ შეიცავენ საკითხს ამერიკის სამხედრო ბაზებისა და ატლანტიკის პაქტის შესახებ, რომელიც სსრ კავშირისა და დასავლეთის სამი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუარესების მთავარი მიზეზი გახდა. ნოტებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მინისტრების მოადგილეებმა წინასწარ თათბირზე პარიზში ვერ მიაღწიეს სრულ შეთანხმებას იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ 2 მაისს შეიტანა.

დღევანდელ სხდომაზე ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის სახელით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს გადასცა საბჭოთა მთავრობის პასუხი ზემოაღნიშნულ ნოტებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა კავშირის მთავრობის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხება ევროპაში არსებული დაძაბული მდგომარეობის ლიკვიდაციას და მშვიდობის განმტკიცებას. ამავე დროს საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნია პარიზში მინისტრების მოადგილეთა თათბირის მუშაობის შეწყვეტა და გამოთქვამს მზადყოფნას დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ვაშინგტონს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირზე, როგორც კი საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი პარიზში დადებითად გადაწყვეტს საკითხს დღის წესრიგში შეუთანხმებელი პუნქტის სახით ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების პუნქტის შეტანის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დევისმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა გულდასმით შეისწავლის საბჭოთა ნოტას და რომ მას არ სურს წინასწარ აღნიშნოს გადაწყვეტილება, რომელსაც მისი მთავრობა გამოიტანს. მაგრამ დევისმა „წინასწარი შენიშვნის" წესით განაცხადა, რომ მას „სრულიად უსარგებლოდ" მიაჩნია მოადგილეთა თათბირის განგრძობა, თუ სსრ კავშირის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს დღის წესრიგში ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების საკითხის შეტანას.

ჯესეპმა და პაროდიმ აგრეთვე განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ მთავრობებს გადასცემენ საბჭოთა მთავრობის ნოტას.

თავმჯდომარემ პაროდიმ წინადადება შეიტანა მორიგი სხდომა დაინიშნოს 6 ივნისს და იმედი გამოთქვა, რომ ამ დროისათვის დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობები შეძლებენ გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის ნოტისადმი.

ამით დამთავრდა სხდომა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 ივნისი. (საქტასი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით იგერიებენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და მძიმე ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

ვიეტნამი, 4 ივნისი. (საქტასი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკეს ნინ-ბინ-ფუ-ლის ფრონტზე ოთხი დღის ბრძოლების პირველი შედეგების შესახებ.

ოთხი დღის ბრძოლების პერიოდში, 31 მაისამდე ჩათვლით, სახალხო არმიის ჯარებმა მოსპეს მტრის მთელი გარნიზონი ქალაქ ნინ-ბინში. გარნიზონი დაახლოებით შედგებოდა 1 ბატალიონის, ორი ქვეითი ასეულისა და ერთი საზღვაო ქვეითი ასეულისაგან. განადგურებულია 10 სათავდაცვო საგუშაგო.

მოწინააღმდეგე ამაოდ ცდილობდა მოეყვანა დამხმარე ჯარები. 30 მაისს სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მედესანტე დივერსანტთა ორი ოცეული „კომანდოსის" იმ რაზმებიდან, რომლებიც მოდიოდნენ ქალაქის გარნიზონის დასახმარებლად, 29 მაისს — ჯავშანსატანკო ოცეული 5 ტანკ-ამფიბიით და 31 მაისს — 100 კაცისაგან შემდგარი ორზე მეტი ქვეითი ოცეული ფუ-ლის სამხრეთით 8 კილომეტრზე მდებარე პუნქტში, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქვეგანყოფები.

მოწინააღმდეგე იძულებული გახდა დაეტოვებინა იენ-ხანის ოლქში არსებული 10 სხვა საგუშაგო.

მტრის საერთო ზარალი შეადგენს 950 მოკლულსა და 405 ტყვედ წამოყვანილს. წამოღებულია 594 შაშხანა, 5 მძიმე ტყვიამფრქვევი, 42 ხელის ტყვიამფრქვევი, 56 ავტომატი, 9 ნაღმსატყორცნი, 11 რადიოგადამცემი, ნაღმების საწყობი და სხვა დავლა.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ცნობა

ლონდონი, 4 ივნისი. (საქტასი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ გუშინ ამერიკელმა არტილერისტებმა კორეაში შეცდომით ჩამოაგდეს ამერიკის ორი დიდი სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელთა ეკიპაჟიც შედგებოდა 10 კაცისაგან.

ცნობაში ნათქვამია, რომ ამ თვითმფრინავებს უნდა ჩამოეგდოთ საჭურველი და სურსათი ამერიკელთა ჯარების მეწინავე ნაწილებისათვის.

ბომბეის ნავსადგურში ჩაიძირა მარცვლეულით დატვირთული საბჭოთა გემი

ბომბეი, 2 ივნისი. (საქტასი). აქ ჩამოვიდა საბჭოთა გემი „კრასნოდარი", რომელიც დატვირთულია საბჭოთა მარცვლეულით ინდოეთისათვის. „კრასნოდარის" ჩამოსვლისას ბომბეის ნავსადგურის დოკში მისალმებთან შეიკრიბა ადგილობრივი საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილება

ლონდონი, 2 ივნისი. (საქტასი). როგორც რეიტერის სააგენტო დელიდან იუწყება, ინდოეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელიც სურსათის საკითხებზე მუშაობს, განაცხადა, რომ ინდოეთმა უარყო კანადის წინადადება, რომელმაც შეშინების თავიდან ასაცილებლად „საჩუქრად" შესთავაზა დაბალი ხარისხის ხორბალი. უარი დასაბუთებულია იმით, რომ „ასეთი ხორბლით ჩვეულებრივად კვებავენ პირუტყვს და საჭირველი არ არის, რომ იგი ადამიანებმა გამოიყენონ".

კიმ ირ სენმა მიიღო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიის წევრები

ფხენიანი, 3 ივნისი. (საქტასი). კორეაში ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების ბოროტმოქმედებათა გამომკვლევმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიამ მუშაობა დაამთავრა. კორეაში ყოფნის დროს კომისია გაეცნო კორეის სხვადასხვა რაიონს, გამოარკვია ამერიკელი აგრესორების მიერ ჩადენილი მხეცობის მრავალი ფაქტი და შეაგროვა სათანადო მასალები ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისათვის გადასაცემად.

კორეიდან გამგზავრების წინ კომისიის წევრები მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა. მიღებას დაესწრო კორეის ქალთა დემოკრატიული კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პაკ დენ აი.

კომისიის თავმჯდომარე ნორა როდი კომისიის ყველა წევრის სახელით მიესალმა კორეელი ხალხის ხელმძღვანელს კიმ ირ სენს. კომისიის წევრებმა შემდეგი განცხადება გააკეთეს:

„ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ჩვენ წარმოვადგენთ იმ ბოროტმოქმედებათა გამომკვლევ კომისიას, რომლებიც ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებმა ჩაიდინეს კორეის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ და განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების მიმართ. ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის 20 დელეგატი და ერთი მეთვალყურე, რომლებიც წარმოვადგენთ სხვადასხვა რელიგიურ რწმენას, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოების სხვადასხვა ფენას, გაერთიანებული ვართ საერთო სურვილით — მშვიდობის საქმეს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალები. ჩვენ მადლობას ვუძღვნით თქვენს მთავრობას იმისათვის, რომ ყველა შესაძლებლობა მოგვეცა გამოკვლევის მოსაწყობად. ჩვენ ნება დაგვრთეს გვენახა ყველაფერი, ყოველი ადამიანისათვის მიგვეცა შეკითხვები იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც გვაინტერესებდა. ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში ხალხს საშუალება ჰქონდა თავისუფლად, შეგვხვედროდა, და ასობით ადამიანმა გვიამბო თავისი ტანჯვა.

ჩვენ ვნახეთ საშინელი ნგრევა, რაც დაბომბვასა და ცეცხლის დაშენას გამოუწვევია. ვნახეთ ბომბებით დანგრეული და გადამწვარი ქალაქები და სოფლები. ვნახეთ თავიანთი ქვეყნის გადარჩენისათვის მებრძოლი მამაცი ქალები და მამაკაცები. ჩვენ ვიცით, რომ მათი ერთადერთი მისწრაფებაა მშვიდობა.

სადაც უნდა ვყოფილიყავით, ყველგან გულთბილად გვეგებებოდნენ და იმაზე ბევრად უკეთეს პირობებს გვიქმნიდნენ, ვიდრე თვითონ თქვენ შეიძლება გქონდეთ. ჩვენ მადლობას მოგახსენებთ იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენმა დიდმა ხალხმა გაგვიწია, და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენს მიერ შეგროვებულ ცნობებს ზუსტად გადავცემთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რომელსაც გადავცემთ აგრეთვე ჩვენს წინადადებას, რომ ჩვენი დოკუმენტების ასლები გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან შეწყვიტოს ომი კორეაში, საერთაშორისო ტრიბუნალის სამართალში მისცეს ყველა, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ომისათვის და დასაჯოს ისინი მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობისათვის. ჩვენ მშვიდობისათვის ბრძოლას არ შევწყვეტთ მანამდე, სანამ კორეა თავისუფალი არ გახდება და სანამ მსოფლიო თავს არ დააღწევს ომს".

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა განაცხადა:

„პატივცემულო ბატონებო! დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ შორეულ კორეაში ჩამობრძანდით კეთილშობილური მიზნით—ადგილობრივ გამოიძიოთ, თუ რა ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ჩვენს ქვეყანაში ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც ისწრაფვიან კოლონიად გაიხადონ ჩვენი სამშობლო, და ცხადყოთ ომის ნამდვილი ხასიათი.

დიდი მადლობელი ვიქნები, თუ თქვენ აცნობებთ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს კორეის ნამდვილ მდგომარეობას, კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას; დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დახმარება ხელს შეგვიწყობს ჩვენი ქვეყნიდან დამპყრობთა განდევნაში.

კორეა თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა იქნება, კორეა არასოდეს არ იქნება და არ უნდა იყოს ამერიკელი იმპერიალისტების კოლონია.

გისურვებთ სამშობლოში ბედნიერად დაბრუნებას და მუშაობაში წარმატებას".

ცირანკევიჩმა მიიღო მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია

ვარშავა, 3 ივნისი. (საქტასი). გუშინ პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ცირანკევიჩმა მიიღო მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც აცნობა მას მშვიდობის ეროვნული პლებისციტის შედეგები.

„პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, — თქვა საპასუხო სიტყვაში ცირანკევიჩმა,—მადლობას გიძღვნით გადმოცემული ცნობისათვის. მშვიდობის ეროვნული პლებისციტის ბიულეტენებზე გაკეთებული 18 მილიონზე მეტი ხელმოწერა იმას მოწმობს, რომ პოლონელი ხალხი ერთსულოვნად და მტკიცედ მოითხოვს მშვიდობის პაქტის დადებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის და რომ ჩვენი ხალხი გადაჭრით იმოქმედებს ჰიტლერულ აგრესორთა ახალი შეიარაღების ცდების წინააღმდეგ.

მშვიდობის ამ პლებისციტის შედეგები სიამაყითა და სიხარულით აღავსებს ყოველი პოლონელი პატრიოტის გულს. ჩვენმა ქვეყანამ გამოთქვა თავისი ნება. პოლონელი ხალხის ხმა სერიოზული გაფრთხილებაა აგრესორებისა და ომის გამჩაღებლებისათვის და ამავე დროს მტკიცე მხარდაჭერაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრე მებრძოლებისათვის. პოლონელი ხალხი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად მტკიცედ დგას მშვიდობის ბანაკის რიგებში დიდი საბჭოთა კავშირის გვერდით".

ხალხის გამოკითხვის მიმდინარეობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 1 ივნისი. (საქტასი). გუშინ, ხალხის გამოკითხვის პირველ დღეს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 17.00 საათამდე 1.279 თემში ხმა მისცა ხმის უფლების მქონე ყველა მცხოვრებთა 100 პროცენტმა. ხალხის გამოკითხვაში მოსახლეობის მონაწილეობის ყველაზე დიდი პროცენტი გუშინ იყო მეკლენბურგის მხარეში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხის გამოკითხვის მოწყობის ხელმძღვანელის ცნობებით, გუშინდელი დღის 17 საათამდე ქალაქ ვისმარში ხმა მისცა ხმის უფლების მქონე ყველა მცხოვრებთა 88,4 პროცენტმა, ცვიკაუში—85,1, დესაუში—83,6, ბრანდენბურგში — 83,2, გერაში—83,0, ჰალბერშტადტში — 79,8, როსტოკში—77,1, ლაიფციგში—77,0, პოტსდამში—73,0, იენაში—68,8 პროცენტმა.

ბერლინის დემოკრატიულ სექტორში, გუშინ 17 საათზე მიღებული ცნობებით, სხვადასხვა რაიონში ხმა მისცა მოსახლეობის 60-დან 99-მდე პროცენტმა.

ხალხის გამოკითხვა დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 3 ივნისი. (საქტასი). მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში უკანონოდ აკრძალეს ხალხის გამოკითხვა და დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი ტერორისტულ ღონისძიებებს მიმართავენ, დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ხალხის გამოკითხვაში გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ.

როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინში მოქმედებს ხალხის გამოკითხვის მომწყობი 200-ზე მეტი კომიტეტი. დასავლეთ ბერლინის გამოკითხულ მცხოვრებთა 86,3 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე: „ილაშქრებთ თუ არა თქვენ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და ემხრობით თუ არა 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას?"

ე. ე. ბურჭულაძე—ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

1950 წლის 29 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ე. ბურჭულაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველო 1853-1856 წლების აღმოსავლეთის ომში".

ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს ე. ბურჭულაძის სადისერტაციო შრომას და ჩათვალეს იგი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების სერიოზულ შენაძენად. სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭისყრით ერთხმად მიანიჭა მას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1951 წლის 28 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ე. ე. ბურჭულაძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხისა და პროფესორის სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ.

ავტომანქანები კოლმეურნეობებისათვის

ამ დღეებში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირმა მიიღო 300 ცალი საბარგო ავტომანქანა. ავტომანქანებს კოლმეურნეობები შეიძენენ.

ქართული ხილი მოსკოვის მშრომელებს

ხილის უხვი მოსავალია წელს საქართველოში. ამ დღეებში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირი მოსკოვის მშრომელებისათვის გაგზავნის მრავალფეროვანი ასორტიმენტის ხილს. ხილი გაიგზავნება სპეციალური თვითმფრინავებით და მაცივარი ვაგონებით.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირში

ხუთშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 9 საათზე საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში, (რუსთაველის პროსპექტი № 11) შედგება საბჭოთა საქართველოს ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენის განხილვა.

შესვლა თავისუფალია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოს სესია

9-10 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო იწყებს მესამე სესიას, მიძღვნილს საქართველოს ბენტონიტური თიხების სახალხო მეურნეობაში გამოყენების საკითხებისადმი.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

სიღნაღი. (საქ. კორ.). სიღნაღის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ნაყოფიერად მუშაობს.

ანსამბლმა წნორის, მაღაროს, ანაგისა და ქალაქ სიღნაღის კლუბებში მოაწყო საღამო-კონცერტები. ანსამბლმა საღამო-კონცერტი გამართა აგრეთვე წითელწყაროს რაიონის ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში.

კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა ემზადება მოსავლის აღების პერიოდში მინდვრად გასულ კოლმეურნეებში კულტურულ-მასობრივი მუშაობის ჩასატარებლად.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი". წიგნში გაშუქებულია საქართველოს მე-18 საუკუნის, კერძოდ ერეკლე მეორის დროინდელი მრავალი საყურადღებო ისტორიული მოვლენა.

ნაშრომის ვრცელი შესავალი, კრიტიკული შენიშვნები, აგრეთვე ძველის მთლიანად აღდგენა და ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების საფუძველზე გამოცემა ეკუთვნის დოცენტ ა. იოსელიანს. წიგნს დართული აქვს საძიებელი და ლექსიკონი.

წიგნის ტირაჟი 2.000, გვერდი 150, ფასი 10 მანეთი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ირანის პრესა ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის შესახებ

თეირანი, 3 ივნისი. (საქტასი). გაზეთი „ტოლუ" კომენტარს უკეთებს პრეზიდენტ ტრუმენის წერილს ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკისადმი და აღნიშნავს, რომ თეირანის საპარლამენტო და პოლიტიკურ წრეებში ეს წერილი ირანის საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის ახალ ნიმუშად მიაჩნიათ.

გაზეთი „ბესუე აიანდე" წერს, რომ ტრუმენმა თავის წერილში მოსადიკისადმი „ამერიკის იმპერიალიზმის საზიზღარი სახე ნიღაბი ახადა და ოფიციალურად დაადასტურა ინგლისელ მძარცველებთან თავისი თანამშრომლობა". „ტრუმენის წერილი,—წერს შემდეგ გაზეთი,—ამერიკელი იმპერიალისტების თავხედობის საუკეთესო მაგალითია. ამ წერილში ტრუმენმა მიმართა აგრეთვე სიცრუესა და შანტაჟს. მოსადიკმა სენატში წარმოთქმულ თავის სიტყვაში აღნიშნა სიყალბე ტრუმენის მტკიცებისა, „თითქოს ირანის მთავრობა დათანხმდა იმაზე, რომ ყოფილი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის დელეგატებს შეუძლიათ წარმოადგინონ აგრეთვე ინგლისის მთავრობა".

აღნიშნავს რა შემდეგ, რომ ტრუმენის წერილი ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის ახალი აქტია, გაზეთი „ბესუე აიანდე" წერს, რომ ეს ჩარევა „სრულიად ეწინააღმდეგება ირანის ეროვნული სუვერენიტეტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს". „ირანელი ერი,—წერს გაზეთი,—გამოცდილი ერია. მას არ ესაჭიროება არც ტრუმენისა და მის თანამშრომელთა მითითებანი და არც მათი მეურვეობა. ირანელმა ერმა საბოლოოდ გადაწყვიტა გააუქმოს ინგლის-ირანის ნავთის კომპანია და განდევნოს ირანიდან ინგლისის აგენტები და ჯაშუშები. ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს და, თუ დოქტორმა მოსადიკმა თავი აარიდა თავისი მოვალეობის შესრულებას, იგი წააწყდება ირანელი ხალხის მრისხანე და მწვავე ბრძოლას.

გაზეთი „ბესუე აიანდე" წერს, რომ ტრუმენი ვერ დააშინებს ირანელ ხალხს: ტრუმენს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ როგორც ირანელი ხალხი არ შეუშინდა მორისონის „პარაშუტისტებსა და მედესანტეებს", ისევე არ შეუშინდება იგი ტრუმენის ბლეფსაც.

შემდეგ, გაზეთი წერს: ირანელი ხალხი არ შეუშინდება არც ქარაგმებს „აფეთქების" შესახებ, არც „თავისუფალი სამყაროს" (როგორც ცნობილია დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ მოღვაწეთა ენაზე ასე ეძახიან იმ ქვეყნებს, რომელთა მთავრობებიც ხელში ჰყავს უოლ-სტრიტს.—რედ.) რისხვას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ „თავისუფალი სამყარო" რისხვით უყურებს ყველა ერს, რომელიც ცდილობს აღმოფხვრას იმპერიალიზმი და ეწევა ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის. იგი ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნის ასეთ ერებს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ და ამას გვიჩვენებს ჩვენი გამოცდილება, — რომ „თავისუფალი სამყაროს" რისხვა ვერასოდეს ვერ ჩაახშობს ერის ბრძოლას მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის".

ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხისათვის

ლონდონი, 3 ივნისი. (საქტასი). როგორც რეიტერის სააგენტოს მიერ თეირანიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, გუშინ პრემიერ-მინისტრი მოსადიკი და შინაგან საქმეთა მინისტრი ზაჰედი ეთათბირნენ ეროვნული ეკონომიკის მინისტრს ამირ ალაის, რომელმაც უნდა განახორციელოს მეთვალყურეობა ირანისათვის ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის საწარმოთა გადაცემაზე.

ირანის კომისია, რომელიც სამი კაცისაგან შედგება, 2 ივნისს საღამოს თავის მხრივ ეთათბირა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის განმახორციელებელ შერეულ კომისიას. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ შეიქმნება გამგეობა, რომელიც თავის განმგებლობაში მიიღებს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ყველა საწარმოს; ამასთან ახალ კომპანიას ეწოდება „ირანის ნავთის ეროვნული კომპანია".

ამავე თათბირზე საბოლოოდ დამუშავდა ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის საწარმოების ნაციონალიზაციისა და ამ საწარმოთა ექსპლოატაციის წესი.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

7 ივნისს

6.45—ა. ტესკას სუიტა „არსენა". 9.20—კონცერტი შუმანის ნაწარმოებებიდან. 18.10—არიები სობინოვის შესრულებით. 18.30 — გადაცემა მიძღვნილი მიჩურინისადმი. 19.25 — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და თბილისის „დინამოს" ისტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30—ზ. ფალიაშვილის ოპერა: „აბესალომ და ეთერი". პირველ ანტრაქტში: რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე. მეორე ანტრაქტში — საუბარი: „სტალინური პრემიის ლაურეატ მწერლების წიგნების შესახებ". მესამე ანტრაქტში: გადაცემა მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად. ლექცია: იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია.

დ ღ ე ს თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ოპერისა და ბალეტის—„აიდა" (მე-7 აბ. ტ. სახანდარიანისა და გ. ვორობიოვას მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „მტრები"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„კაკვიძე" (მათუშის თეატრის სპექტაკლი); **სომხური დრამის** — „ძველი ავადმყოფობა"; **მუსიკალური კომედიის** —„თბილისის ცის ქვეშ"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ლადო კეცხოველი" (მე-80 აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „მშვიდობის ვარსკვლავი" (11, 3 და 7 საათზე).

მოქალაქე თამარ ზაქარიას ასულმა პაპკოვამ, მცხოვრებმა ათარბეგოვის ქ. № 19, აღძრა საქმე პაპანინის ქ. № 32 მცხოვრებ მოქალაქე გიორგი ხამსონის-ძე ტარიელაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აცხადებს 1951-1952 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: 1. ნავთობის ჭაბურღილების ბურღვა, 2. ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაცია და 3. გეოლოგია და ნავთობის საბადოების ძიება. განცხადება მიიღება ყოველდღე 1 აგვისტომდე. მისამართი: თბილისი. [illegible] მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. [illegible] ნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. მოსწავლეებელი ბინა, ტექნიკუმი ნაწილობრივ აუნაზღაურებს [illegible] ველდღე ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 8 საათიდან [illegible]

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო [illegible] მიღებას დაუსწრებელ განყოფილებაზე 1951-52 სასწავლო წლისათვის ფაკულტეტებზე: 1. რუსული ენისა და ლიტერატურის, 2. ფიზიკა-[illegible] ტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე [illegible] 15 ივნისამდე. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარ[illegible] სიმწიფის მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი [illegible] რაიონული განყოფილებიდან გაცემული ცნობა სამ[illegible] იწარმოებს 16-დან 24 ივნისამდე. დაუსწრებელ სტუ[illegible] ხულთათვის) სასწავლო-საგამოცდო სესია ჩატარდება [illegible] თი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 32.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის [illegible] თებული ქარხანა აუწყებს ყველა საწარმოს, ქარხნის, [illegible] თა მეურნეობის ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა შეს[illegible] „გაზ-51", „ზის-5" და „ზის-150-ს" სპიდომეტრებს. [illegible] ქ. თბილისში, ღრმაღელე, მექანიზაციის ქუჩა № 1. [illegible] განყოფილება. ტელეფონი 3-00-61 ქვესადგური 3-00-60.

თბილისის ტურისტთა ბაზა ა. წ. 3 ივნისიდან ქალაქის მოსახლეობისათვის და მგზავრებისათვის ყოველდღიურად აწყობს ექსკურსიას საქართველოს სამხედრო გზაზე ავტობუსით.

საგზურის წინასწარი შეძენა შეიძლება მთელი დღეების განმავლობაში ტურბაზის [illegible]

დ ღ ე ს კ ი ნ ო ე ბ შ ი

რუსთაველის სახელობის — „ა. პარხომენკო"; **„ამირანი"** (საზაფხულო დარბაზი), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო დარბაზი) — „მშვიდობა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში"; **„ამირანი"** (საზამთრო დარბაზი), **„სპარტაკი"**, **„ისანი"**—„ეს მოხდა დონბასში"; **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო დარბაზი) — „ალიტეტი მიდის მთებში"; **„თბილისი"** — „ნასრედინი ბუხარაში"; **კომკავშირელი** (საზამთრო დარბაზი)—„დამური"; **„დიდუბე"** (საზაფხულო დარბაზი)—„დავით გურამიშვილი", (საზამთრო დარბაზი)—„დონეცელი მეშახტეები"; **„კოლხიდა"** (საზაფხულო დარბაზი)—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ".

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი [illegible] და უფლებრივი [illegible] კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.